საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 4551/01
06/05/2021

4551-01-2-202105061731

შპს „ნეოგაზს“
მის: ქ. თბილისი, გაზაფხულის ქ. N18
ელ. ფოსტა: info@neogas.ge

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 20 აპრილის N7002 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ქუთაისში, ავტოგასამართ სადგურზე ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები, კერძოდ:

- რომელი წლიდან ფუნქციონირებს არსებული ავტოგასამართი სადგური;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიიდან დასახლებული პუნქტი დაშორებულია 200 მეტრზე მეტი მანძილით და აღნიშნული მითითებულია დანართი 2-ზეც (ობიექტის განთავსების სიტუაციური რუკა). მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ მდებარეობს ფიზიკური პირების საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები შენობა-ნაგებობებით (ს/კ 03.05.24.593; 03.05.24.525; 03.05.28.049). გარდა ამისა, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილ ფოტოსურათებზე (სურ. 2, 4, 10) ფიქსირდება საცხოვრებელის ტიპის შენობა-ნაგებობები. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს მოსახლემდე მანძილის შესახებ;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ მდებარეობს გალფის ბენზინგასამართი სადგური. დაზუსტებას საჭიროებს გალფის ავტოგასამართი სადგურის ადგილმდებარეობა;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილია ორი 20 $მ^3$ და ორი 25 $მ^3$ მოცულობის რეზერვუარების მოწყობა (სულ ოთხი რეზერვუარი, ჯამური 90 $მ^3$ მოცულობის), რომლებიც განკუთვნილი იქნება სხვადასხვა სახის საწვავისათვის

(დიზელი, რეგულარი, პრემიუმი და სუპერი). ამასთან, აღნიშნულია, რომ დღე-ღამის განმავლობაში გაცემული იქნება დაახლოებით 10 ტონა ბენზინის და 8 ტონა დიზელის საწვავი. დაზუსტებას საჭიროებს რომელი საწვავისთვის რა მოცულობის რეზერვუარია განკუთვნილი, მათ შორის თითოეული საწვავის წარმადობა (წლიური);

- სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ავტოგასამართი სადგურის მოწყობის ეტაპზე ხმაურით გამოწვეული ზემოქმედების შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების შესაბამისად კორექტირებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე